



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 39

04/06/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმა დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7) დაინტერესებული მხარისათვის მისი ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო